ახალი განთიადი

,,ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,

,,განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ,,

2023 წელი 31 იანვარი № 1 (8188) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

ფაქტების კვალდაკვალ

გვ2-3.

გვ5.

ახალი საწარმო მუნიციპალიტეტში

,,იგოეთის,, შემოთავაზებანი!

გვ5.

გვ4.

ღიბიყცანცი - წლის აღმოჩენა

გვ7.

,, მთიელი ჩემი ჯონიბა...,,

ქართული ჭიდაობა — ამიერი-დან მსოფლიო ორბიტაზე!

გვ6.

თეატრალიზებული მეჯლისი

გვ5.

თანამშრომლობა გრძელდება

კასპის მუნიციპალი-ტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და მერის მოადგილე ზურაბ კოპაძე ორგანიზაცია “Let,s Do It“ -ის წარმომადგენლებს შეხვდნენ, რომლებიც პროექტის “იმოქმედე გარემოსთვის” ფარგლებში სამი წელია მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობენ.

ამჯერად, პროექტის ფარგლებში საქართველოს ორგანიზებით, ესტონეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტს საჩუქრად სიგარეტის ნამწვისა და გარეფასადის ურნები გადასცეს. პროექტის ფარგლებში ფასადის ურნები საჩუქრად გადაეცათ კასპის №1, №2, №3 საჯარო სკოლებსა და ასევე, ბესიკ ნიპარიშვილის კასპის სკოლა-გიმნაზიას. აღნიშნული სკოლების მოსწავლეები აქტიურობდნენ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში, ბანაკებსა და მსოფლიო დასუფთავების დღეებში.

პროექტის მიზანია გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება სუფთა და ჯანსაღი მომავლისთვის.

მუნიციპალიტეტის მერმა საჩუქრისთვის მადლობა გადაუხადა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტად გაღრმავდება.

ოფიციალური ქრონიკა

კასპის მუნიციპალიტეტში
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ 2023 იწყება

27 იანვრიდან 22 თებერვლის ჩათვლით კასპის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებები და ამომრჩეველთა კონსულტაციები იწყება

პროექტების შერჩევის ძირითადი პრინციპებია:
- გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის მიერ
- მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის თანამონაწილეობა
- მოსახლეობის აქტიურობის მხარდაჭერა
- პროცესის გამჭვირვალობა და ინკლუზიური მიდგომა

კასპის მუნიციპალიტეტში “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 13 იანვრის ბრძანების თანახმად, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებები და ამომრჩეველთა კონსულტაციები 27 იანვრიდან იწყება.

როგორც გასულ წელს, მიმდინარე წელსაც, კასპის მუნიციპალიტეტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში - მოსახლეობის გადაწყვეტილებით შერჩეული პროექტების განსახორციელებლად დაფინანსდება 950 000 ლარით.

შესარჩევი პროექტების ჩამონათვალი:

სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის, ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);

სარწყავი სისტემები;

სანიაღვრე არხები;

ნაპირსამაგრი სამუშაოები;

გზები და გზისპირა მოსაცდელები, აგრეთვე ტროტუარები და გზის შემადგენელი ინფრასტრუქტურა;

ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები;

გარეგანათება;

სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;

ამბულატორიის შენობები;

სასაფლაოების შემოღობვა და კეთილმოწყობა;

სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;

სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები, შესაბამისი ინვენტარით;

წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;

მინიჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა;

გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და დამისამართების შესაბამისად, შესაბამისი ნიშნების, აგრეთვე ტურისტული ადგილების მიმანიშნებელი ნიშნების განთავსება. შეხვედრები კასპის მუნიციპალიტეტის 73 სოფელში ჩატარდება.

უფასო სამედიცინო აქცია

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმეს და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრისა და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ქალაქ კასპში უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა.

აქციაში მონაწილეობდნენ და პაციენტებს უფასო კონსულტაციები და სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს ექოსკოპისტმა თინათინ ტარყაშვილმა, ენდოკრინოლოგმა მარინა ნადარეიშვილმა, მეან-გინეკოლოგებმა - ეკატერინე მაჭავარიანმა, მზია დევდარიანმა და ნინო ლაცაბიძემ.

აქციას ხელმძღვანელობდნენ სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორი ვეფხვია ოდიშარია და სამეანო-გინეკოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი კახა ტატუნაშვილი. აქციის ფარგლებში, დღის განმავლობაში, ექიმთა ჯგუფმა 60 პაციენტს ჩაუტარა სამედიცინო გამოკვლევა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა მადლობა გადაუხადეს ვეფხვია ოდიშარიას, კახა ტატუნაშვილს და აქციის მონაწილე ყველა ექიმს გამოჩენილი სოციალური პასუხისმგებლობისთვის. როგორც ვახტანგ მაისურაძემ აღნიშნა, მნიშვნელოვანია აღნიშნული ტიპის აქციები და მერია ყოველთვის მზად არის მხარი დაუჭიროს მსგავს ინიციატივებს.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმეს და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა.

ფაქტების კვალდაკვალ

ვესაუბრებით კასპის მუნიციპალიტეტის მერს ვახტანგ მაისურაძეს.

- 2022 წლის 21 დეკემბერს კასპის ტექნოპარკში ჩაატარეთ თქვენი მუშაობის ერთი წლის ანგარიშის მოსმენა- პრეზენტაცია. ბატონო, ვახტანგ, როგორ შეძელით ყველა იმ პროექტის განხორციელება, რომელიც წარმოადგინეთ პრეზენტაციაზე? აქ ვგულისხმობთ თუნდაც ფინანსების მოძიებას, სამუშაოების ჩატარებას, მონიტორინგს, კონტროლს?

- კასპის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსებმა მუნიციპალიტეტს მისცა ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სხვა პროგრამების დაფინანსების საშუალება და, შესაბამისად შესრულების შესაძლებლობაც.

2022 წლის საწყისი ბიუჯეტი იყო 18 394 000 ლარი - წლის ბოლოს კი 32 933 400 ლარი.

როგორც ყოველთვის, მერია ორიენტირებული იყო ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობასა და პირობების გაუმჯობესებაზე. ბევრი მნიშვნელოვანი, მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი კვლავ ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, წყალმომარაგება, სკოლამდელი აღზრდა და სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა იყო.

კარგად მოგეხსენებათ, პანდემიიდან გამომდინარე, 2 წლის განმავლობაში შეზღუდული იყო კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარება, ახალმა სინამდვილემ მოგვცა საშუალება და განვაახლეთ სამუშაოები.

2022 წელს კასპის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება 24 მილიონ ლარზე მეტია.

- იქნებ კონკრეტულად, თითოეული დარგის მიხედვით გავაცნოთ მკითხველს 2022 წელს განხორციელებული პროექტები?

- კარგით, მაშინ წარმოვადგინოთ დარგების მიხედვით, კერძოდ -

საგზაო ინფრასტრუქტურა:

2022 წელს კასპის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურაზე დაიხარჯა 14 221 915 ლარი, დაიგო 23 700 გრძივი მეტრი გზის საფარი. მათ შორის საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება - 6 026 920 ლარია.

საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო მუნიციპალიტეტის 10 სოფელში: ნიგოზა, ჩობალაური, ქვემო რენე და ზემო რენე, ბოჟამი, სასირეთში გიორგი მაზნიაშვილის სახლ - მუზეუმამდე მისასვლელი გზა, ნიაბი - ბორტას გზა, იგოეთის საბავშვო ბაღთან და სადგურ მეტეხის საბავშვო ბაღთან და სკოლასთან მისასვლელი გზა.

სამუშაოები მიმდინარეობს 2 სოფელში - მაღალმთიან სოფელ გუდალეთსა და აღაიანში მისასვლელი გზების რეაბილიტაცია 2023 წელში დასრულდება.

ქალაქ კასპში საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო 20 ქუჩაზე: შარიფაშვილი, ყაზბეგი, წერეთელი, გურამიშვილი, წულუკიძე, ლესელიძე, ჯორჯიაშვილი, სამება, მეტეხი, ქვათახევი, ჯავახიშვილი, ცხვედაძე, მეოთხე სკოლასა და მიკრორაიონთან დამაკავშირებელი გზა, მაზნიაშვილის, თამარ მეფის, ვაჟა-ფშაველას, 9 ძმის, ფიროსმანის, კოსტავას და კონსტიტუციის და კოსტავას (მიმდინარე).

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მოასფალტდა ქვათახევის მონასტრამდე მისასვლელი გზა, მოგეხსენებათ, აღნიშნული გზა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანი მონაკვეთია (ღირებულება 3 579 000 ლარი).

წყალმომარაგება:

წლის განმავლობაში მაქსიმალურად ვეცადეთ მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესებას, რაზეც 4 264093 ლარი დაიხარჯა.

მიუხედავად ჩატარებული სამუშაოებისა, წყალმომარაგებაში ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა. ამ ეტაპზე ჭაბურღილები მოწყობილია შუა უბანი - ქვემო ჩოჩეთში, თელადგორში, გრაკალში, სასირეთში, თელიანში, გორაკაში, თვალადსა და ლამისყანაში.

სასმელი წყლის ქსელი მოეწყო: ხიდისყურსა და საქადაგიანოში, ბარნაბიაანთკარსა და კასპში.

დასრულების პროცესშია სამთავისში ახალი სადრენაჟო სისტემის მშენებლობა და 1 500 გრძივი მეტრი მაგისტრალის შეცვლა, რაც უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის ნახევარს, რომელთაც თვითდინებით მიეწოდებათ სასმელი წყალი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები:

მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია და ჩვენი პატარებისთვის სათანადო, თანამედროვე სტანდარტული პირობების შექმნა.

ახალი საბავშვო ბაღები:

ავაშენეთ 2 ახალი საბავშვო ბაღი სადგურ მეტეხის დასახლებასა და სოფელ იგოეთში. იგოეთში საბავშვო ბაღი ათეული წლები საერთოდ არ ფუნქციონირებდა. ორივე სოფლის ბავშვები მშობლებს მეზობელი სოფლების საბავშვო ბაღებში დაჰყავდათ. ახალი ბაღები აღიჭურვა ახალი ინვენტარით, მოასფალტდა სოფელ იგოეთის და სადგურ მეტეხის საბავშვო ბაღთან და სკოლასთან მისასვლელი გზებიც.

სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა: სოფელ სამთავისის, ქვემო ჭალის, ზემო რენეს და ზემო ხანდაკის საბავშვო ბაღებს. სამუშაოების ღირებულებაა: 4 279 667 ლარი.

საბავშვო სივრცეების - ატრაქციონების მოწყობა:

მოგეხსენებათ, კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი არ არის საკმარისი, ბავშვებს სჭირდებათ გართობა, დასვენება და აუცილებელია გასართობი სივრცეების მოწყობა.

2022 წელს ქალაქის 5 საბავშვო ბაღსა და 12 სოფელში მოეწყო ბავშვთა გასართობი სივრცეები.

დასასვენებელი სკვერები:

მუნიციპალიტეტში სამი დასასვენებელი სკვერი მოეწყო: სოფელ სასირეთში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის, სოფელ ხოვლესა და კასპში მიკრორაიონის დასახლების სკვერი;

წლებია მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსების პროგრამა მოქმედებს.

- პროგრამის განსახორციელებლად 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 150 000 ლარით. აღნიშნული პროგრამით 7 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ ისარგებლა და ბინაში არსებული პრობლემები მოიგვარა.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამა":

წლებია ქვეყანაში "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, მოსახლეობის მიერ სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად შერჩეული პროექტების რეალიზება მიმდინარეობს. 2022 წლის "სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" კასპის მუნიციპალიტეტზე 950 000

დასასრული გვ3.

ფაქტების კვალდაკვალ

***დასასრული.**

ლარი გამოიყო, რომელიც მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით 73 სოფელზე განაწილდა.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 480 000 ლარი იყო. ჯამში სულ - 1 430 000 ლარი, აღნიშნული თანხით მუნიციპალიტეტში 94 პროექტი განხორციელდა.

საგანმანათლებლო პროგრამა:

განათლების სფეროში მუნიციპალიტეტს ორი მოქმედი პროგრამა აქვს, რომელიც - საჯარო სკოლების წარჩინებული მოსწავლეების და სტუდენტების წახალისებას ითვალისწინებს.

პირველი პროგრამა - ფულადი ჯილდო გაიცემა ოქროს და ვერცხლის მედალოსნებზე და წელს 41 კურსდამთავრებულს გადავეცით (1 000-1000 ლ);

მეორე პროგრამა - დაწესებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში დაღუპული კასპის ყოფილი გამგებლის, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდია. პირველი სემესტრის მონაცემებით სტიპენდია 6 წარჩინებულ სტუდენტს დაენიშნა (250-250 ლ).

სპორტული ინფრასტრუქტურა:

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, სპორტული მიღწევების ხელშეწყობისთვის აუცილებელია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორები მოეწყო 7 სოფელში - ყარაფილა, კოდისწყარო, თვაურები, ქვემო გომი, ქვემო ჭალა, სასირეთი, თეზი, ხოლო ხელოვნურსაფარიანი მოედანი 4 სოფელში: - ოკამი, მეტეხი, ქვემო ჭალა, ქვემო გომი. ღია საჭიდაო არენა კი - ლამისყანაში.

გვაქვს სპეციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების დაჯილდოებას. დავაჯილდოვეთ 17 წლის გიორგი ხიზამბარელი, რომელმაც ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკებს შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დამსახურებულად მოიპოვა.

ერთი წელი არ არის. რაც გავხსენით რაგბის კლუბი "მოურავი" და მიუხედავად პანდემიისა, რომელიც სისტემატურ ვარჯიშში უშლიდათ ხელს, პირველი ამხანაგური შეხვედრის ჩატარება უკვე შეძლეს.

ნარჩენების მართვა:

ადგილობრივი ბიუჯეტიდან შევიძინეთ 2 ერთეული ახალი ნარჩენმზიდი ავტომანქანა, 200 ერთეული პლასტმასის ნარჩენშემკრები კონტეინერი, ავტომანქანა ამწე კალათა და ა(ა)იპ "კასპის კეთილმოწყობას" გადავეცით. მანამდე მუნიციპალიტეტს 2 ერთეული მაღალი გამავლობის ნარჩენმზიდი ემსახურებოდა, რაც არ იყო საკმარისი და მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. არსებულმა ნარჩენმზიდებმა სოფლებსა და მაღალმთიან დასახლებებში გადაინაცვლეს.

შედეგად მოსახლეობის მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდება, რომელიც გართულებული განსაკუთრებით ზაფხულის თვეებშია.

ვისარგებლებ შემთხვევით და მოვუწოდებ მოსახლეობას გავუფრთხილდეთ ქალაქს, საცხოვრებელ გარემოს, ბუნებას და ნუ დავანაგვიანებთ მას. ასევე, გავუფრთხილდეთ მათ შრომას, ვინც ყოველ დილით დასუფთავებულ ქუჩებს გვახვედრებს.

- საკმაო მოცულობითი ბიუჯეტი გაქვთ მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამაზე, რას გვეტყვით ამის შესახებ?

- ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. მერიის ჯანმრთელობის დაცვის სოციალური პროგრამა განსაზღვრულია 34 მუხლით, თუმცა, პაციენტთა საჭიროებებიდან გამომდინარე მუხლების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

ჯანდაცვა და სოციალური პროგრამის ბიუჯეტი წლის დასაწყისთვის 1 050 000 ლარით განისაზღვრა, რომელსაც 150 000 დაემატა და ახლა 1 200 000 ლარია. საჭიროების შემთხვევაში წლის ბოლომდე კიდევ დაემატება.

საანგარიშო პერიოდში პროგრამით ისარგებლა მუნიციპალიტეტის 2 500 მოქალაქემ და 360 იძულებით გადაადგილებულმა ოჯახმა (სააღდგომო სასურსათო პაკეტი). დახარჯულია 1 056 730 ლარი.

კვირაში 6 დღის განმავლობაში 80 ბენეფიციარი სარგებლობს უფასო სასადილოს კვებით, არის ბინაზე მომსახურების სერვისიც. პროგრამა დაფინანსებული იყო 110 000 ლარით.

სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისთვის გაიცა დახმარება - ერთჯერადი სასურსათე პაკეტი, ასევე საახალწლოდ 120 პაკეტი მარტოხელა მოხუცების და მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილი) გაჭირვებული ოჯახებისათვის.

პანდემიის პერიოდში ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლებს 24-საათიანი დამღლელი სამუშაო დღე სარეაბილიტაციო შენობაში უხდებოდათ. დღეს მათ მუშაობა უკვე რეაბილიტირებულ შენობაში სათანადო პირობებში უწევთ. მინდა თითოეულ მათგანს კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა მუნიციპალიტეტის მოქალაქეებზე ზრუნვისათვის.

- ბატონო ვახტანგ, არ შეიძლება არ შევეხოთ სრულიად განსხვავებულ ქალაქის ცენტრს, რომელიც რამდენიმე თვეში კეთილმოეწყო და გალამაზდა.

"განახლებული რეგიონები"

- საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივის სახელმწიფოპროგრამის "განახლებული რეგიონების" ფარგლებში ქალაქ კასპში სამუშაოები ქალაქის 2 ცენტრალურ - გიორგი სააკაძის და მერაბ კოსტავას ქუჩაზე განხორციელდა. ეს არის ქალაქის ცენტრის განახლების, გალამაზების და კეთილმოწყობის პროექტი, რომელმაც გარკვეულ არეალში სრულიად შეცვალა გიორგი სააკაძის და მერაბ კოსტავას სახელობის ქუჩები და მათზე განთავსებული შენობები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელებულია: მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული შენობების გარეფასადების რეაბილიტაცია.

განახლდა მერაბ კოსტავას, გიორგი მაზნიაშვილის ბიუსტები, გმირთა მემორიალი. მასშტაბური სამუშაოები ჩაუტარდა და სრულიად განახლდა გიორგი სააკაძის სახელობის სკვერი, მოპირკეთდა გიორგი სააკაძის ძეგლის კვარცხლბეკი, გაიწმინდა ძეგლი, მოეწყო შადრევანი, რკინიგზის გასწვრივ მდებარე სკვერი, რომელშიც ბავშვებისთვის გასართობი სივრცე განთავსდა.

პროექტის ღირებულება 8 მილიონიდან 11 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

- დადგა 2023 წელი, განსახორციელებელი პროექტების და მისი პრიორიტეტების შესახებ რას გვეტყვით?

- რაც შეეხება 2023 წლის გეგმებს, პრიორიტეტი კვლავაც მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე პროექტებს ენიჭება, კერძოდ: საგზაო ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა და სოციალური პროგრამა, წყალმომარაგება, სკოლამდელი აღზრდის და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

2023 წელში დაგეგმილი პროექტების განხორციელება წლის დასაწყისიდან დაიწყო, კერძოდ:

ქალაქ კასპში გორგასლის ქუჩის რეაბილიტაცია;

ქალაქ კასპში ჯანდაცვის ცენტრისა და სასწრაფო დახმარების შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ორფენიანი ასფალტბეტონის საფარის მოწყობა;

ქალაქ კასპში გრიშაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია;

სოფელ გამდლისწყაროში ბოლომდე ბეტონის საფარის მოწყობა;

ქალაქ კასპში, ქარწისის დასახლებაში ხეთაგუროვის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია;

ქალაქ კასპში სააკაძის ქუჩის რეაბილიტაცია ჩოლოყაშვილის ქუჩის გადაკვეთამდე;

ქალაქ კასპში წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია /მოასფალტება.

მუნიციპალიტეტში 2023 წელს დაგეგმილი პროექტები აუცილებლად განხორციელდება.

ჩაიწერა: ნ. ხატიძემ.

ლიბიოცენტი - წლის ვიმოხენ

მიჰყევი შენი ოცნების არჩევანს!

ის – 2022 წლის დებიუტანტი ავტორი – თეა ირემაშვილი საკუთარ არჩევანს მიენდო და საკონკურსოდ ლიტერატურული "მუზა" აირჩია!

მან კი – მისი "არჩევანი!"

მოგახსენებთ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ 2022 წლის ბოლოს გამართულ პრესტიჟულ ლიტერატურულ კონკურსზე, მის ერთ-ერთ ნომინაციაში ("წლის დებიუტი – აღმოჩენა") გამარჯვებულ ავტორსა და დაჯილდოებულ პროზაულ ნამუშევარზე – რომანზე "არჩევანი".

ლიტერატურული კონკურსი "მუზა" 2022 წელს განახლებული სახით გაიმართა. საქმე ისაა, რომ კულტურის სამინისტრომ წინა წელს დაწესებულ-ჩატარებულ კონკურსს "წლის საუკეთესო" სახელწოდებაც შეუცვალა და ფორმატიც, კერძოდ, უწოდა "მუზა" და ამიერიდან 4-ის ნაცვლად 11 ნომინაციაში ეყოლება გამარჯვებული. ისინი ჯილდოვდებიან სიმბოლური პრიზით – ესაა მერაბ ბერძენიშვილისეული "მუზა".

ნომინაციებია: "წლის საუკეთესო"... 1. რომანი, 2. პროზაული კრებული, 3. პოეტური კრებული, 4. დოკუმენტური პროზა (ესე), 6. თარგმანი, 7. კრიტიკა (რეცენზია), 8. პიესა (ინსცენირება), 9. წიგნის დიზაინი, 10. ინდივიდუალური ლიტერატურული პროექტი, 11. ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ... და კიდევ ერთი, რიგითობით მე-5: "წლის საუკეთესო დებიუტი (აღმოჩენა").

სამინისტროს კონკურსი ოფიციალურად გამოცხადდა სექტემბერში, გამარჯვებულები კი პრიზებით დაჯილდოვა დეკემბერში საქართველოს მწერალთა კავშირის დარბაზში (საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – მაკა ელბაქიძე).

2022 წლის კონკურსს "მუზა" ნომინაციაში "წლის საუკეთესო დებიუტი (აღმოჩენა") ჰყავს ორი პრიზიორი. ერთი მათგანია თეა ირემაშვილი – რომანისათვის "არჩევანი".

... ჩვენი რესპოდენტია თეა ირემაშვილი. ახალი, 2023 წლის იანვრის პირველ დღეებში იღბლიანი ლიტერატურული დებიუტი მივულოცეთ. გაგაცნობთ მის ბიოგრაფიულ შტრიხებს:

2010 წელს დაამთავრა ქ. კასპის №2 საჯარო სკოლის სრული კურსი. იურისტის კვალიფიკაციას დაეუფლა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 2016 წლიდან გააჩნია მაგისტრის ხარისხი. არჩეული პროფესიით მუშაობდა კასპის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში". 2018 წლის აგვისტოდან იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, ხოლო 2020 წლიდან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მწერალი-თანაშემწეა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მისი ყოველდღიური სამუშაო გრაფიკი ფრიად დატვირთულია, მაგრამ საკუთარ თავს მოდუნების ნებას არ აძლევს, ემზადება მოსამართლეობის საკონკურსო არჩევნებისათვის. ვერც სალიტერატურო ჰობს ღალატობს და წერს და წერს, რისთვისაც მოწაფეობიდანვე აქეზებდნენ და ხელს უწყობდნენ დედა და ფილოლოგიის პედაგოგი (სკოლაში – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მზია მარქარაშვილი).

თეა ირემაშვილი გვიამბობს:

– "არჩევანი" ჩემი პირველი წიგნია და ძალიან მიყვარს. ვერასდროს წარმოვიდგნდი, რომელიმე ლიტკონკურსში თუ მივიღებდი მონაწილეობას. გამარჯვებაზე, მით უმეტეს, არ მიფიქრია. ამიტომ შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა. კონკურსის თაობაზე შემთხვევით გავიგე სოციალური ქსელის მეშვეობით და სპონტანურად გადავწყვიტე: "ვცდი" ... ჰოდა, აღმოგვაჩინეს მეც და ჩემი წიგნიც. არადა, ჯერ დაბეჭდილი არაა, დღის სინათლე არ უნახავს, წაკითხვითაც მხოლოდ ჟიურის რამდენიმე წევრი გაეცნო. ძალიან მინდა მისი დაბეჭდვა და გამოცემა, რადგანაც სხვათა შეფასებებიც მაინტერესებს. ისტორია, რომლის გარშემო სიუჟეტი ვითარდება, გამოგონილია. თუმცა, ის, რაც 200-გვერდიან წიგნში ხდება, რეალურ ცხოვრებაში ბევრია.

– დიდხანს ვფიქრობდი, რაზე დამეწერა. რამდენიმე იდეა მქონდა. წერის პროცესში მონახაზიც შევცვალე და იდეაც. ასე დაიბადა "არჩევანი".

– "არჩევანში" აღწერილია ორი, სრულიად განსხვავებული, ადამიანის ცხოვრება და გზები, რის გავლასაც შეცდომებისა და ტკივილის ხარჯზე ახერხებენ. დიახ, ესაა წიგნი ცხოვრებაზე, სიყვარულზე, ემოციებზე, შიშსა და მარტოობაზე, ახალგაზრდულ სისუსტესა და სიძლიერეზე, იმაზე, რაც გვაღელვებს და გვაფორიაქებს.

– წიგნის გმირი ქალი პუნქტუალობისა და პასუხისმგებლობის ძლიერი შეგრძნებით გამოირჩევა, ყველაფერს საკუთარ ვალდებულებასთან აკავშირებს და გადაწყვეტილებებსაც გარშემო მყოფი ადამიანების გათვალისწინებით იღებს. აი, მამაკაცი კი უდარდელია და მხიარული ცხოვრების მიმდევარი. თანაც, უცხოტომელი. ის ხვდება ამაყ და ძლიერ ქართველ ქალს, რომელიც მის წინაშე სუსტი და დაუცველი აღმოჩნდება. სამყაროსეულ ლაბირინთში ორივე იკარგება და მისგან თავდაღწევას ცდილობენ. თავს გადახდენილი თავგადასავალი მათ არაერთ სიურპრიზს უმზადებს და ორივეს არჩევანის წინაშე აყენებს.

– სადღეისოდ არ ვიცი, რომანს მომავალში როგორი გამოხმაურება მოჰყვება. თუმცა, უკვე ვიცი, რომ "არჩევანი" არ იქნება ჩემი ერთადერთი წიგნი... გამოგიტყდებით, პირველი წარმატებით ფრთაშესხმულმა სულ ცოტა ხნის წინ მეორის წერა დავიწყე. ხშირად გამიგონია, რომ ლიტერატურა რეალობისაგან გაქცევის მცდელობაა, თუმცა, ჩემი აზრით, ესაა ყველაზე დიდი სფერო, სადაც ადამიანს რეალობის წინაშე უწევს დგომა.

– ვეცდები, ჩემი წიგნებით ვისაუბრო საზოგადოებაში სადღეისოდ მოძალებულ პრობლემებზე. ასევე, იყოს ისეთი, ერთი ამოსუნთქვით რომ წაიკითხება და, გარდა ცხოვრებისეულ სირთულეებზე დაფიქრებისა, მკითხველს მისცემს თავისუფალ დროს წიგნების კითხვით სიამოვნების მინიჭების საშუალებას.

ნორჩების საღებიუტო გამოფენა

კავთისხეველი და თვალადელი მოსწავლეების ფუნჯი არ უცხოობს სეზონურ ფერებს, მათ მუდამ გულით მიუხარიათ სოფლის ცენტრში, ომარ კელაპტრიშვილის სახელობის სამუსიკო სკოლასთან არსებული ხატვის წრის მეცადინეობებზე.

მეოთხე წელია, იქაური შვიდიდან თოთხმეტ წლამდე გოგობიჭები სახვითი ხელოვნების ანბანს ეუფლებიან (პედაგოგი მაკა კაიშაური). პანდემვითარებით გამოწვეული გაცდენილი ორი წელი რომ არა, პირველი ჯგუფის წევრები საყვარელ სივრცეს დაემშვიდობებოდნენ კიდეც...

და, აი, კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ახლახან, 23 იანვარს, ისინი თავიანთი ნამუშევრებით წარდგნენ სახალხო დათვალიერებისა და შეფასებისათვის.

კავთურისხეობელი ნორჩი შემოქმედების დებიუტი დალოცვილი ყოფილიყოს მათთვის ანდამატურ ფერწერულ სამყაროში.

მისასალმებელია, საქალაქო კულტურის კერა როცა ახალი საგამოფენო სეზონის გახსნისას კარს ფართოდ უღებს მომავალ თაობას. მათ ხელში მხატვრის ფუნჯი უთუოდ გასხივოსნდება ნათელი ფერებით, უკვე აქედან, შუა ზამთრიდან.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

ახალი საწარმო მუნიციპალიტეტში

„იგოეთის„ შემოთავაზებანი!

ასეა, ადამიანური გემოვნება ისევე ძველია და მარად მოდური, როგორც კაცობრიობა. ერთვნული რაკურსის ჭრილში დღემდე ასე მოჩანს: ქართული სამზარეულო ტრადიციულია, გამორჩეულია, პოპულარულია, კლასიკური ჩარჩოც მოერგება, ანუ განვითარებადია. თვით საგემოვნო შეხედულებანი და მიდგომები უბიძგებს გურმანებს, გამონახონ თანამედროვე გზები და საშუალებანი, მოიშველიონ ტექნოლოგიური მიღწევები, რათა მეტად წამოსწიონ ეროვნული სამზარეულოს მნიშვნელობა და როლი, გნებავთ, ფუნქცია და დანიშნულება ჩვენი ყოფისა და მისი გემოვნებითი ღირებულებებისა, აუცილებლობისა... საერთოდ ხომ ასეა: ათადანა და ბაბადან გემოვნებაზე (არ) დაობენ!



ფაქტი, როგორც ასეთი

2020 წელს სოფელ იგოეთში დაარსდა კომპანია "იგოეთი" – საწარმო, რომელიც უმთავრეს საქმიანობად ისახავს ქართული სოფლის პროდუქციის (მწვანილეული საკმაზსანელებლების) გადამუშავებასა და წარმოებას, ახლის შექმნას და ფართო მომხმარებლისათვის მზა სახით მიწოდებას.

გამორჩეულობის ნიში

– პროფილურად მსგავსი საწარმოები საქართველოში, ცხადია, სხვაგანაც მოქმედებს, მაგრამ "იგოეთს" აქვს საფირმო მარკის დონე. აქ უასლესი სტანდარტული ნიში სრულყოფილია, სანიტარული და ინფრასტრუქტურული მოთხოვნები უხინჯოა – მტკიცე, გაბედული ტონით აცხადებენ "იგოეთის" პროფესიონალი მესვეურები.



ასორტი პრეტენზიული სუფრისათვის და ...

ფრიად მრავალფეროვანია კომპანია "იგოეთის" ლოგოთი დამშვენებული მზა ნაწარმის მხოლოდ ჩამონათვალიც კი. ესოდენი ნაირგვარობა, უეჭველია, დაკმაყოფილებს თვით პრეტენზიული მომხმარებლის მოთხოვნილებას – ოჯახურ, სავაჭრო, სარესტორნო სერვისის სივრცეში და ასე შემდეგ:

"ხმელი ოხრახუში", "ხმელი კამა", "ხმელი სუნელი", ხმელი რეჰანი", "ხმელი ქინძი"... საკმაზები – მექსიკური კარტოფილისათვის, ლობიოსათვის, ფლავისათვის, ხარჩოსათვის, ბოსტნეულისა და ხორცეულის კერძებისათვის, საცივისათვის, თევზეულისათვის, ხინკლისათვის... ასევე: "შშრალი აჯიკა", "სვანური მარილი", "ჩიტის წიწაკა", "შავი პილპილი".

რეცა ნედლეული ქართულია

საწარმომ, ფაქტიურად, 2022 წელს გამოუშვა ნაწარმი. საჭირო ნედლეული ამ ეტაპზე უცხოურია, მაგრამ დამოკიდებული მთლიანად იმპორტულზე არ იქნება. ამჟამად შეძენილია ადგილობრივი და ლაბორატორიულად შეისწავლება. დადებითი პასუხის შემთხვევაში სწორედ ის – ჩვენებური ბოსტნეულ-მწვანილეული – გახდება საბაზისო წყარო. საკუთარი რესურსის არსებობა არსებითია, მთავარია მისი მიგნება და გამოყენება.

რაობა მზა პროდუქციისა

"იგოეთის" პროდუქცია დაფასოებულია ევროსტანდარტების შესაბამის პაკეტებსა (სხვადასხვა წონითი მასით) და ჭურჭლეულში. ისინი ძალზე მოხერხებულია გამოსაყენებლად. მოხმარების მომენტში მოქმედებს ე. წ. "ზიპჩამკეტი", რაც გამორიცხავს შიგთავსიდან მძაფრი სუნისა და გემოს გამოდინებასა და გამოფრქვევას. არსებითია ასეთი ნიუანსი: დაფასოებისას ნედლეულთან ერთად პაკეტში იტუმბება (დადებითი წნევის მეშვეობით) აზოტი, ის მასის ჟანგბადზე მძიმეა და ამიტომ მას გამოდევნის. ამდენად, ნაწარმის შენახვის ვადა დაცულია.

სავაჭრო ქსელის არეალი

სადღეისოდ "იგოეთის" 18 დასახელების პროდუქტი სარეალიზაციოდ მიეწოდება მარკეტინგული ქსელის ისეთ ობიექტებს, როგორიცაა "ზღაპარი" და "გურმანი". აქტიური მოლაპარაკება დაწყებულია, აგრეთვე, "ორ ნაბიჯთან", "აგროჰაბთან", "სპართან"...

ხელმადლიანების ოცეული

კომპანია "იგოეთმა" გარანტირებული სამსახურებრივი შემოსავლით დაასაქმა და უზრუნველყო ადგილობრივი ოცი ადამიანი (არა მარტო იგოეთიდან, არამედ, სამთავისიდან, მრგვალი ჭალიდან, ქვემო ხვითიდან...). მათგან რამდენიმეა სოციალურად შეჭირვებული და იძულებით გადაადგილებული პიროვნება.

ახალგაზრდული, მაგრამ პროფესიონალური მიდგომით

"იგოეთს" ახალგაზრდული თვალთახედვით, საქმიანი მიდგომით, უკვე გარკვეული პროფესიული გამოცდილებითა და პერსპექტიული გათვლებით თავკაცობენ: მისი დამაარსებელი და რეგისტრატორი, კვებითი გადამუშავების დარგის გამოცდილი სპეციალისტი ზურაბ გოგინაშვილი; მისი თანამოაზრე და ბიზნესპარტნიორი ვაჟა ილურიძე (იგოეთელი 25 წლის ჭაბუკი ილიას უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია ბიზნესადმინისტრირების კვალიფიკაციით, ფლობს მაგისტრის ხარისხს. ამჟამად უკავია კომერციული მენეჯერის თანამდებობა).

თეატრალიზებული მეჯლისი

იდგა 2022 წლის 20 დეკემბერი. ახალი წლის დაკალენდრებამდე ათ დღეზე მეტი იყო დარჩენილი. არადა, ძველის გასტუმრებისა და ახლის შეგებების მომენტის წინასწარი განწყობილება უკვე შეიგრძნობოდა და აღნიშვნის ფორმასაც მოითხოვდა, მეტადრე სახელოვნებო სფეროში დასაქმებული ადამიანებისაგან.

და მათაც, კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტებმა, გადაწყვიტეს, წინასაახალწლო სასცენო წარმოდგენისათვის თეატრალიზებული და სამეჯლისო ფორმა მიესადაგებინათ. თანაც, მისი მომწყობნი და მონაწილენი ხომ თვითონვე იქნებოდნენ და სხვებიც მიეწვიათ – ნაცნობი და ნაცადი მუსიკოს-შემსრულებლებიც და ახალბედებიც, ქალაქის ერთერთი საჯარო სკოლის მოსწავლეები. ნამდვილი მეჯლისი ხომ ისაა, სადაც დიდებიც და პატარებიც ერთობლივად მღერიან, ცეკვავენ, დეკლამატორობენ, თეატრალობენ...

"თოვლის დედოფალი და მზის სხივების მეჯლისი" – მასზე დასწრების მსურველებს ეპატიჟებოდა ფერადი აფიშა და გამართვის ადგილსაც მიანიშნებდა, – კასპის კულტურის ცენტრის დარბაზი.

აქვე წარმოგიდგენთ ღონისძიების რეკვიზიტორებს:

– ღონისძიების საერთო ორგანიზება (რეჟისურა, გაფორმება, დეკორაცია, სცენარი: ლუიზა ტატიაშვილი – კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი;

– სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ჯგუფის ხელმძღვანელი: გიორგი მჭედლიშვილი;

– კომპიუტერული უზრუნველყოფის მხარე: მაია თაბუაშვილი, ნათია ნუგზარიშვილი და მამუკა პაპაშვილი;

– წარმოდგენის აქტიური მონაწილეები: დავით ალექსიძე, გიორგი კვერცხიშვილი და დიმიტრი მაღლაკელიძე;

– ფოტოგრაფი: ლაშა ზუბიაშვილი.

მეჯლისის მონაწილენი და შემსრულებლები:

– თოვლის დედოფალი: ლიზი ხუციშვილი; მზის სხივი: ანა თათრიშვილი (№4 საჯარო სკოლის მოსწავლეები);

– ყინულწვეტას როლში: ზურაბ საჩალელი.

მომღერლები და მუსიკოს-შემსრულებლები: ეთერი პაპიძე (სოფელ ახალქალაქის კულტსახლის სპეციალისტი), ლაშა თაბუაშვილი (კასპი), ჯაბა ნონიაშვილი (კასპის კულტურის ცენტრის ბენდის წევრი), ხატია მამულაშვილი და გიორგი ხუციშვილი (№4 საჯარო სკოლის მოსწავლეები).

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

სპორტ INFO

ქართული ჭიდაობა — ამიერიდან მსოფლიო ორბიტაზე!

(კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მრჩეველი და, პარალელურად, შიდა ქართლის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი იოსებ მამულაშვილი "ახალი განთიადის" ფურცლებიდან, გაერთიანების საგაზეთო ყოველთვიურ სასპორტო გამოშვებაში, გვესაუბრება შარშანდელი წლის განმავლობაში შიდაქართლელი მოჭიდაველების მიერ მიღწეულ წარმატებაზე; ასევე, ჩვენს მუნიციპალიტეტში 2023 წლისათვის გათვალისწინებულ რამდენიმე გეგმიურ აქტივობასა და პროექტზე).

ის მოჭიდავის ოჯახში დაიბადა. თანაც, საჭიდაო ტრადიციებით ცნობილ სოფელ მეტეხში. ამგვარმა გარემოცვამ განაპირობა ცხოვრებისეული მისი არჩევანი — სპორტის მსახურება: საჭიდაო წრესა და მის გარშემო ტრიალი, აქტიური კარიერა, მწვრთნელობა... ორი საუკუნის მიჯნაზე გახდა საქართველოს სტუდენტთა უნივერსიადის ჩემპიონი, მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა ჭიდაობა სამბოსა და ქართულში... მაშინ შეუდგა მწვრთნელობასაც და ახალი საუკუნის განვლილ ოცწლეულში არაერთი შეგირდი დააკვალიანა. მათგან ყველაზე მეტად 17 წლის გიორგი ხიზამბარელმა ასახელა. ის 2022 წლის ოქტომბერში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ... ქართულ ჭიდაობაში. იოსებ მამულაშვილმა სწორედ ამ ფაქტის აქცენტირებით დაიწყო საუბარი.

***

იოსებ მამულაშვილი — ვეტერანი მოჭიდავე, შიდა ქართლის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი:

— ქართულ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობის გამართვას მოვესწარით. ჩვენ, ქართველებმა, ეს შევძელით. ამაზე თაობები ფიქრობდნენ და ოცნებობდნენ. ამიტომ შარშანდელი სადებიუტო ჩემპიონატი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად ჩაიწერება ყველაზე ეროვნული სასპორტო სახეობის მრავალწლოვან ისტორიაში. ეს არ იყო ერთი რიგითი, კალენდარული გეგმით გათვალისწინებული შეჯიბრება. მთავარი გახლდათ, აღიარება და მხარდაჭერა წამოსულიყო უცხოეთის ქვეყნებიდან. ასეთი ნაბიჯები პირველებმა გადადგეს იაპონელებმა, რომლებმაც ნაციონალური ძიუდო ჯერ ოლიმპიურ ორბიტაზე გაიტანეს, შემდეგ მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ სახეობად გადააქციეს; მოგვიანებით მათ მიბაძეს თურქებმა, უზბეკებმა და სხვებმა, რომლებმაც ჩოხამორგებული "აბბა" და "კურაში" გაამსოფლიურეს... ლამის დავაგვიანეთ, მეტი დახანება აღარ ეგებოდა!

ეს იყო დიდმნიშვნელოვანი საჭიდაო მოვლენა, მისი როლი მომავალში მეტად გამოჩნდება. ჩვენთვის საამაყოა, რომ ასეთ დროს, საწყის ეტაპზე, თავი ბრწყინვალედ წარმოაჩინეს შიდა ქართლის მხარის (კასპის, ხაშურის, ქარელისა და გორის) ჭაბუკებმა.

შეგახსენებთ, რომ 2022 წლის ოქტომბერში ქ. თბილისის ცირკის შენობაში (მერედა, ოდიდანვე როგორ უხდებოდა მის არენას ეროვნული ჭიდაობა და ჭიდაობა რარიგ მშვენობდა მისი წრიული დარბაზით!) გამართული წარმომადგენლობითი პირველი მსოფლიო ჩემპიონატის 5 წონითი კატეგორიიდან შიდაქართლელმა მოჭიდაველებმა 3-ში გაიმარჯვეს. მათ აქამდეც გავუხარებივართ და საიმედო თაობად დაგვისახავს, მაგრამ ესოდენ პრესტიჟული ასპარეზობის დონეზე — არასოდეს! აი, ისინი, ჯერაც ახალბედა, მაგრამ იღბლიანი მსოფლიო ჩემპიონები: კასპელი გიორგი ხიზამბარელი (55 კილოგრამამდე წონითი კატეგორია), ხაშურელი გიორგი ნოზაძე (60) და ქარელელი თამაზ კობერიძე (81). მეტიც, შიდაქართლელებმა ირგუნეს, აგრეთვე, ბრინჯაოს ორი მედალი, რაც მესამეადგილოსანი ელგუჯა ნანეტაშვილისა (ქარელი) და ზურაბ ჭიღლაძის (გორი) წილად მოდის.

უთუოდ, საინტერესოა, როგორია პერსპექტივა და რა გამოწვევების წინაშე დგანან ჩვენი მხარის მოჭიდავე-ჩოხოსნები 2023 წლისათვის? — შარშანვე, თბილისშივე, დაანონსდა, რომ რიგით მეორე მსოფლიო პირველობა წელს ჩატარდება საუდის არაბეთში, ხოლო ევროპისა — საბერძნეთში (თანაც, უფროსი ასაკის მოჭიდაველებისათვის). დიახ, ორივე ფედერაცია შექმნილია. მათი დამსახურებაა შარშანდელი "ქართული პირველი მსოფლიოს" ჩატარებაც. წლევანდელის საორგანიზაციო საქმეებსაც ისინი მოთავეობენ. ცხადია, ქართული ჭიდაობის მსოფლიო ფედერაცია (პრეზიდენტი გიორგი ბაქრაძე) და ევროპის ფედერაცია (პრეზიდენტი მერაბ ილიადისი) მჭიდროდ თანამშრომლობენ საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციასთან (პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი). სწორედ მათმა ერთობლივმა ძალისხმევამ მოიტანა შემდგარი ფაქტი, როგორც შედეგი და, თანაც, მზარდი და პერსპექტიუყლი დიდი პროექტი, რასაც ეროვნული ჭიდაობის საერთაშორისო ორბიტაზე წარმოჩენა ჰქვია!

ამდენად, უკვე აქედანვე, საჭიდაო კალენდარული სეზონის განახლებისთანავე, ჩვენი მხარის ფედერაციის თავკაცთა (პრეზიდენტი იოსებ მამულაშვილი, ვიცეპრეზიდენტი პაატა ღვინიაშვილი, გენმდივანი ომარ ლომიძე) წინაშე საპატიო ამოცანა იკვეთება: რაც შეიძლება მეტი მოჭიდავე მოხვდეს შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებიდან საქართველოს ნაკრებში, რომელიც მეორე მსოფლიო პირველობისათვის შეირჩევა და მოემზადება. ამასთან, წელს პირველად გვეყოლება ევროპის ჩემპიონები ქართულ ჭიდაობაში — როგორია? ვიმედოვნებთ, რომ ისინი ჩვენი მხარის წარმომადგენელთა შორის აუცილებლად გამოჩნდებიან...

ქართული ჭიდაობა, როგორც ადვილად ასახსნელი აქსიომა, მუდამ ჟამს ქართული სოფლის ნოყიერ ნიადაგზე იყო დაფუძნებული. მტკვრის, ლიახვის, ქსნის, ლეხურის, თეძმის, კავთურის ხეობების დიდ-პატარა სოფლებში ჭიდაობის გამართვა საზეიმო ხასიათით ავსებდა და აძლიერებდა სპორტულ სულისკვეთებას, მოჭიდავენი ხომ რაინდობდნენ და ვაჟკაცობდნენ, გულშემატკივარიც ძუდამ კმაყოფილი გვირჩებოდა საერთო სანახაობით, ჭიდაობაზე შეყვარებული კაცები ყველა სოფელში გვეგულებოდა, ახლა ენთუზიასტებს არ იკითხავთ?. ვაგლახად, დღევანდელობაში ასეთი საფანელი და დვრიტა დაეწრიტა ქართულ ჭიდაობასაც, რადგანაც დღის წესრიგში ჩვენებური კაცის ყოფაში უფრო სოციალური და საარსებო პრობლემები წამოვიდა წინა პლანზე, ვიდრე, ზოგადად, სპორტისაკენ გამხედვარობა...

"ახალი განთიადის" მკითხველისათვის, რომელთა შორის ჭიდაობის (სპორტის) უამრავი მოყვარულია, ცხადია, შიდა მუნიციპალურ ჭრილში არსებული მომენტები უფრო საინტერესოა. ამიტომ, მოდი, ერთად გადავავლოთ თვალი 2022 წლის განმავლობაში კასპსა და მის სოფლებში გამართული შეჯიბრებების ნუსხას; ვნახოთ, სად აქტიურობენ და უსხამენ მაცოცხლებელ წყალს ქართული ჭიდაობის ახალშენის ნერგებს.

კასპი — კვირაცხოვლის უბანში არსებულ საქალაქო საჭიდაოზე ივლისში, ტრადიციულად, გაიმართა გიორგი მერებაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური შეჯიბრება; სპორტკომპლექსის დარბაზში სექტემბერში აღინიშნა მსოფლიო ჩემპიონი იოსებ მაღალაშვილის 70-წლისთავის იუბილე; მეტეხი — ეს სოფელი კვლავ ინარჩუნებს წამყვანის პოზიციას, მალხაზ კუმლაძისა და გოჩა მამულაშვილის მემორიალური ტურნირი ორგანიზებულობითაც გამოირჩეოდა და მონაწილეთა რაოდენობითაც, მათ ოსტატობაზე რომ აღარაფერი ითქვას; ოკამი — აქაურებმა სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზეს, სოფლის ფიჭვნარის ტყე-პარკში გააახლეს წლების წინ მიტოვებული ნახერხიანი არენა, თავიანთი ახალბედებიც გამოსცადეს და ახალგაზრდა მოჭიდავენი მოიწვიეს კასპის სოფლებიდანა თუ სამეზობლოდან; სამთავისი — 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპული "მარადისობის ჭაბუკის", ვანო გამხიტაშვილის სოფელში, როგორც წესი, ჭიდაობის ფედერაცია მართავს სახელობით ტურნირს. წლევანდელ ივლისში მისი დაბადებიდან 50-წლისთავი შესრულდება. ამ თარიღს ნამდვილად დაამშვენებდა "სამთავისური დიდი ჭიდაობა". ვფიქრობთ, ასეთ დროს თვითონ სოფელიც მეტი აქტიურობით გამოჩნდება; ლამისყანა — ერთადერთი სოფელია, რომელიც ერთგულია სასოფლო დღესასწაულის, "ივლიტობის", ყოველწლიური აღნიშვნისა, რასაც უკავშირებს საჭიდაო ღონისძიებასაც. ასეთ დროს ხომ სოფელს სტუმარი არ აკლია და ნახერხიან საჭიდილაოს — გულშემატკივარი; ქვემო გომი — მტკვრისპირა სოფელი არაერთ მოჭიდავეს უსახელებია, კაციაშვილების საბუდარმა შვიდიოდე წლის წინ ქართული ჭიდაობის აბსოლუტური ფალავანიც აჩუქა ქვეყანას. აქ ახლა პატარა საჭიდაოა და წლების განმავლობაში ისიც არ ახმაურებულა. შარშან, როგორც იქნა, უსიამო დუმილი დაარღვიეს ქვემოგომელებმა. იმედია, წელს მეტ განს შებედავენ; ახალციხე — აქაურებმა და ნოსტელებმა ხელი ხელს ჩაკიდეს და 2022-ში "ხარკი" მიუბოძეს ეროვნულ ჭიდაობას, კარგი შეჯიბრება ჩაატარეს... გავიხსენოთ ჩვენებური კაცის ნათქვამი: — კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო! ანდა, — მადა ჭამაში მოდისო! გვჯერა, ვინც დაიწყო, ისინი ერთ ადგილზე აღარ გაჩერდებიან...

შიდა ქართლის მხარის ფედერაციის სახელით უნდა დავაანონსოთ: მისი ბოლო არჩევნებიდანვე (2019 წლის აპრილი) ვგეგმავდით სოფელ ნოსტეში "დიდი მოურავის თასის" გათამაშების აღდგენას, მაგრამ პირველი წელი გაგვიცდა, მერე კი "კოვიდ—19"-ის პანდემვითარებამ შეგვიშალა ხელი. 2023 წელს ჩვენი ჩანაფიქრი რეალურად განხორციელდება — ნოსტეში, სააკაძის კოშკის ძირში, დიდი საჭიდაო ასპარეზობა გუნდური ხასიათით დაიტვირთება. დიახ, სად, თუ არა იქაურ ნიადაგზე უნდა წარმოვაჩინოთ ჩვენებური ჭიდაობის ისტორიული საწყისები!

დასასრულ, გვსურს, შევეხოთ კიდევ ერთ მხარეს — კასპის მუნიციპალიტეტში ახალი საჭიდაო მარტივი ტიპის არენების მშენებლობას. არსებულთა მოვლა-პატრონობა ერთია, მაგრამ დამატებით თუ არ აიგო, საერთო სურათი უნიათო მხატვრის პალიტრასავით გაუფერულდება და ველარც კედელზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდე

დასასრული გვ8.

„მთელი ჩემი ჯილდო...„

კასპში ისინი მცირე გვარის წარმომადგენლები არიან. ქართლში, კერძოდ, ლეხურისპირა ქალაქში, პირველი აბდუშელიშვილი ცხრა ათეული წლის წინ დასახლდა. მას სევერიანი ერქვა. არა, მას ახალი საცხოვრებელი ადგილი პირადი სურვილით არ აურჩევია. ჭიათურაში მოსახლე სევერიან აბდუშელიშვილი კვალიფიციური ელექტრიკოსი იყო. კასპში ამოქმედებულ ცემენტის ქარხანაში ნაცადი ოსტატ-ხელოსნები ოქროდ ფასობდნენ. აი, ასე, გაქართლელდა იმერელი კაცი, ანუ პროფესიულ საქმიანობას დაუკავშირდა მის პირად საქმიანობაში მომხდარი რადიკალური ცვლილება.

... და მან, სევერიან აბდუშელიშვილმა – ე. წ. "კადრის მუშამ" – 1937 წლიდან კასპში საგანგებო მისიით მოვლინებულმა, მრავალი წლის განმავლობაში იმსახურა ცემენტის ქარხანაში თუ ქალაქის ელექტროფიკაციის სხვადასხვა ობიექტზე. ასე და ამგვარად, სამსახურებრივ-პროფესიული ვალი ხომ კაცურად მოიხადა მეცემენტეთა ქალაქში და სხვა მხრივაც კარგი კასპელი გახდა. აქ შეიქმნა დიდი სამეგობრო წრე (რომლის წარმომადგენლობა დღეს შვილებ-შვილთაშვილები არიან და ახლა ისინი აგრძელებენ მამა-პაპათა ოჯახურ ურთიერთობებს); აქ დააფუძნა დიდი ოჯახი (სევერიანმა და მისმა მეუღლემ ექვსი შვილი იყოლიეს: ორი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი); აქ გახდა სათავედამდები მუსიკალურ-ოჯახური დინასტიისა!

საქმე ის გახლავთ, რომ სევერიან აბდუშელიშვილი ბრწყინვალედ მღეროდა: სხვადასხვა პერიოდში გამოდიოდა ძმები კავსაძეების ანსამბლში, მღეროდა მარო თარხნიშვილის გუნდში. ის პირველი ტენორის ხმას მაღალოსტატურად ფლობდა.

***

ამიტომ გასაკვირი არ იყო, და არც შემთხვევითი, რომ სევერიან აბდუშელიშვილისეული მუსიკალური სამყაროს კარი, ახალდროების კვალობაზე, ძალუმად გაიხსნა ყველა შვილისათვის:

უფროსი ვაჟიშვილი, ბერიკა, რომელიც ნაადრევად გარდაიცვალა ახალგაზრდობაში, თბილისში გადასვლამდე მამის გვერდით იდგა და მღეროდა კასპის მომღერალთა გუნდში.

სწორედაც ოჯახურმა მუსიკალურმა გარემომ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა სევერიანის ქალიშვილებზე. ოთხივე და ამჟამად საკუთარი კერიის მფლობელია, ოთხივეს გააჩნია აბსოლუტური სმენა და მათი შთამომავლებიც მუსიკალური ცხოვრების ინტერესებით არიან გატაცებული. აი, მაგალითად, ქ. გორში მცხოვრები ნანა ლომიძის შვილიშვილი, 12 წლის საბა ლომიძე, ლიახვისპირა ქალაქში უკვე გამოჩნდა მუსიკალურ კაბადონზე.

სევერიანის მეექვსე შვილი, თენგიზი, რომელსაც 2023 წლის თებერვალში დაბადებიდან 73-ე წლისთავი უსრულდება, უფროსი დედმამიშვილის გახსენებისას, გულისმიერი ნატვრით გაენდობა მსმენელს: – ცხოვრებაში თუ ვინმეს მუსიკალური ნიჭისა და სასიმღერო ტემბრისა შემშურებია, ასეთი მხოლოდ ერთი კაცი იყო – ჩემი უფროსი ძმა! ნეტა, მეც გამომყოლოდა ბერიკასეული ხმა!!!

*** თენგიზ აბდუშელიშვილი დღეს თვითონაა ოჯახური მუსიკალური დინასტიის გამგრძელებელი, შუახიდი, აწ თავკაცი და ხელმძღვანელი. სანამ უშუალოდ ახალგაზრდა აბდუშელიშვილებზე და მათ პროფესიულ თუ მუსიკალურ საქმიანობაზე ვიტყვით რაიმეს, ბატონ თენგიზს ვთხოვეთ, გაეხსენებინა მეოცე საუკუნის 60-ანი და შემდგომი ათწლეულების პერიოდებში კასპელი ახალგაზრდების მუსიკალური პერიპეტიები, მათი ვინაობა, კასპში პირველი ინსტრუმენტული ჯგუფებისა და ანსამბლების შექმნის ისტორია.

თენგიზ აბდუშელიშვილი, ვარსკვლავოსანი ანსამბლ "მოურავის" წევრი:

– კასპის მეორე (იმდროინდელ "რუსულ") საშუალო სკოლაში ვსწავლობდი 1957-67 წლებში. დაწყებით კლასებშივე ყოფნისას გავხდი სკოლის მომღერალთა გუნდის წევრი, სადაც ხელმძღვანელად იყო გულო ლომსაძე. მიხაროდა, კლასში ხომ ისედაც აღიარებული ვიყავი, სასკოლო გუნდი შემდეგში რაიონისამ ჩაანაცვლა. იქ მღეროდნენ ჩემი მეგობრებიც: ტარიელ გურგენიძე, ჯემალ ყაზარაშვილი...

– კასპში პირველი ინსტრუმენტული ანსამბლი, ვგონებ, 1965 წელს ჩამოყალიბდა. ამ საქმის მოთავეები ძმები პეტრიაშვილები იყვნენ – რობერტი და ალიკა. ხელმძღვანელობა პირველმა ითავა. მასში უკრავდნენ, ასევე, თამაზ შუბითიძე და გივი მენაბდიშვილი, ხოლო მღეროდნენ ვალია გაბარაევა და ნანა საბანოვა.

– 1966 წელს, მეცხრეკლასელმა, გაბედული ნაბიჯი თვითონვე გადავდგი და საესტრადო ანსამბლი შევკრიბე. ცხადია, ჩემს ყველა თანამოაზრე მეგობარს ვუხმე. აი, ისინიც: ნუკრი გიგოლაშვილი (დასარტყამი ინსტრუმენტები), იური ჯიოევი (გიტარა-რითმი), თამაზ ელკანიშვილი (გიტარა-სოლო) და ბორის ვასილიევი (საყვირი). თვითონ ბასგიტარას ვუკრავდი გატაცებით. ჩვენი მომღერალი დების სახელებსაც გეტყვით – შორენა დონდუაშვილი და სოფო ბაკიძე. ახლა ანსამბლის სახელს არ იკითხავთ, რა დავარქვით? – "ტნიტბი"! (ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ, ჩვენივე სახელების პირველი ასოებით შედგენილი სახელი (ანუ კომპოზიტი) გვეწოდებინა ორიგინალურიც იყო, თითქოს უცნაურიც, მაგრამ მაშინ ძალიან ახალგაზრდებიც ვიყავით და მრავალმხრივ გამორჩეულობას ყველაფერში ვამჯობინებდით.

– ისე, ახალგაზრდული ინსტრუმენტული ანსამბლისათვის სახელის დარქმევა ადვილი არ გეგონოთ. მოგვიანებით, როცა სამხედროსავალდებულო სამსახური მოვიხადე (სხვათა შორის, მუსიკალურ ყოფას ვერც 2-წლიან არმიულ პერიოდში ავცდი) და სამუშაოდ ისევ ქარხანა "კასპიელექტროაპარატის" მართლაც ახალგაზრდულ შრომით კოლექტივში დავბრუნდი, 1974-81 წლებში იქ გუგუნებდა ჩვენი ანსამბლი "საპოვნელა". მისი სახელწოდება საკონკურსო წესით შევარჩიეთ – სპეციალურ ყუთში ჩაყრილი სახელების რაოდენობის მიხედვით! პირველი კონცერტისათვის კასპის კულტურის სახლის ფარდაც ფრიად ორიგინალურად გავაფორმეთ – "საპოვნელას" ყოველ ასოს დიდ-პატარა ელექტრონათურები თანმიმდევრობით აინთო და ბოლოს სცენა ერთიანად განათდა! აქვე მსურს, ჩამოვთვალო ყოფილი საპოვნელელების ვინაობა: თენგიზ აბდუშელიშვილი, თამაზ ოშაყმაშვილი, ბონდო ჯმუხაძე, თემურ შალუტაშვილი და გია ნიპარიშვილი (უკანასკნელი სამი გარდაცვლილია, ნათელი ჰქონებოდეთ).

*** თენგიზ აბდუშელიშვილი, მამის მსგავსად, ელექტრული დარგის კვალიფიციური სპეციალისტია, როგორც პროფესიონალი ელექტროაპარატმშენებელი. მუსიკალურობა მათთვის, ორივესთვის, უფრო სახელოვნებო მეორე სამყაროდა და განზომილებად ჩამოყალიბდა განგებისმიერი წილხვდომილობით. აი, საგვარეულო მუსიკალური დინასტიის მესამე თაობის ახალკაცები – ძმები იოსებ და გურამ აბდუშელიშვილები – პროფესიონალ მუსიკოს-შემსრულებლად გვევლინებიან (გარდა იმისა, რომ ისინი სამედიცინო-სამკურნალო სფეროს სპეციალისტები არიან: უფროსი ძმა რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგია, ხოლო უმცროსი – ვენეროლოგ-დერმატოლოგი):

– 44 წლის იოსებ აბდუშელიშვილი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი და პოპულარული არაერთი სიმღერის ავტორია. მისეულ მუსიკასა და ტექსტზე გაწყობილი სიმღერები ხშირად გადაიცემა ქართულ სატელევიზიო პროგრამებსა თუ რადიოქსელში. ის ამჟამად საკუთარი მუსიკალური კვინტეტის ხელმძღვანელია. ამას წინათ საქართველოში აღინიშნა "სამედიცინო-სასწრაფო დახმარების" 100-წლისთავის იუბილე და ამ თარიღთან დაკავშირებით გამართულ საღღესასწაულო კონცერტზე წარმატებით წარდგა მედიკოს-მომღერალთა გუნდი, რომლის მზადების საორგანიზაციო მხარე უზრუნველყო მკურნალმა-ექიმმა იოსებ აბდუშელიშვილმა.

– 42 წლის გურამ აბდუშელიშვილი შემდგარი მომღერალია. მამას გულს უხარებენ 14 და 12 წლის სანდრო და დათუნა, რომლებიც გიტარაზე დაკვრას ეუფლებიან და კარგადაც მღერიან.

– მშობლებისა და პაპა თენგიზის გამხარებლები არიან იოსების შვილებიც: უფროსი გოგონა, 15 წლის თამარი, "სუხიშვილების სტუდიის" მოცეკვავეა. ცინცხალი გონებით გამოირჩევა ნიაკო, ხოლო ნაბოლარა ნოე დედაქალაქის სკოლა "პრომეთეს" მოსწავლეთა ჩემპიონია მათემატიკაში.

*** აქამდე არაფერი გვითქვამს აბდუშელიშვილების რძლებზე: ისინიც სამედიცინო სფეროს წარმოადგენენ. ნინო ნარმანიაც და თიკო იმერლიშვილიც უდიდესი პატივისმცემლები არიან საკუთარი ოჯახების წევრთა ტრადიციული ურთიერთობებისა, რაც, უპირველესად, თაობათა მხრიდან ურთიერთპატივისცემასა და დაფასებაში გამოიხატება. ბატონი თენგიზი კმაყოფილებას გამოთქვამს რძლების კაიქალობისა და გვარიშვილობის გამო და ასეთ საინტერესო და სიმბოლურ ამბავსაც მოაყოლებს: – აბდუშელიშვილების უფროსი რძალი, მართალია, აქამდე არ მღეროდა, მაგრამ რაც ჩვენს ოჯახში შემოვიდა, ისიც ამღერდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მამამთილთან ერთად დუეტში სიმღერაც კი ჩაწერა, ვენაცვალე ჩემს რძალს!

***

აბა, რომელი მუსიკოსი თუ მომღერალია, დიდ სცენაზე გამოსვლაზე რომ არ ეფიქროს და არ ეოცნებოს, მეტადრე პატარა ქალაქის კულტურული ცხოვრების დონის ამარა დარჩენილს? თენგიზ აბდუშელიშვილსა და მისი თაობის კასპელ ახალგაზრდებს სასცენო გზა ხსნილი ჰქონდათ, თავისთავად, დედაქალაქის ცნობილი კულტდაწესებულებებისა თუ ფილარმონიისაკენ. იგი იყო წევრი კასპის კამერული გუნდისა, რომელიც 1980 წელს უდიდესა წარმატებით გამოვიდა ყოფილი საბჭოეთის დედაქალაქში მოწყობილ სახალხო მიღწევათა გამოფენაზე, ქართული კულტურული დეკადის ფარგლებში...

კურიოზული შემთხვევა? – ასეთ დროს არც ასეთია გამორიცხული!

თენგიზ აბდუშელიშვილი: – 1967 წელია. მეათე კლასში ვარ. როგორც იტყვიან ხოლმე, მე ვარ და ჩემი გიტარა და ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა – ქალამნად! ქალაქში ხმა დაირხა, კასპელებს რესპუბლიკური ხალხური შემოქმედების ოლიმპიადაზე გვიწვევენო... გუნდისათვის მომღერალი და მოცეკვავე გოგო-ბიჭების შერჩევის მიზნით (დღეს რომ "ქასთინგები" დაურქმევიათ) კასპში თბილისიდან ჩამობრძანდა ორი ცნობილი ხელოვანი – ლოტბარი სოლომონ იაშვილი და ქორეოგრაფი ჯანო ბაგრატიონი. მოხდა ისე, რომ მოცეკვავეთა რიგებში გამამწესეს, რადგანაც ბაგრატიონს უფრო მოეწონა ჩემეული ილეთების გამეორება. მასთან არ გაჭრა ჩემმა ცივმა უარმა, – აქამდე არასოდეს მიცეკვია, მომღერალი ვარ-მეთქი. ჰოდა, ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიცეკვე, თანაც, სად, დედაქალაქის ფილარმონიის ძველი შენობის სცენაზე! რაც მთავარია, კასპელთა გუნდს უდიდესი წარმატება ხვდა, რაშიც ლომის წილი მიუძღოდა ჩვენს თბილისელ ხელმძღვანელს როსტომ ყენიას, რომელ

გაგრძელება გვ-8.



ჩვენი სასპორტო საპატიო ფოტოკვარცხლბეკი



ქვემოთ წარმოგიდგენთ ფოტოგალერეას ჩვენი გაერთიანების სპორტსმენებისა, რომლებმაც სასახელოდ იასპარეზეს შარშანდელი სპორტული სეზონის განმავლობაში და შედეგიანად გამოვიდნენ დეკემბრის ბოლო შეჯიბრებაზეც:

ჯაბა პაპინაშვილი და დიმიტრი კუნდუხაშვილი — საქართველოს ჩემპიონატის მეორე და მესამეადგილოსნები: პირველი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორია ძიუდოში. გამოდის სამბოშიც. ამჯერადაც მხოლოდ ერთი ნაბიჯი დააკლდა, წინასაახალწლოდ "ოქრო" რომ ჩამოეკიდებინა ნაძვისხეზე... აი, მეორემ კი წინა წლის ანალოგიური მიღწევა გააორა და საპატიო კვარცხლბეკზე წინ მხოლოდ ვეტერანები გაუშვა. გვჯერა, შიდა საქვეყნო წლევანდელ შეჯიბრებებში ჯაბა პაპინაშვილიცა და დიმიტრი კუნდუხაშვილიც მხოლოდ მაღალი მიზნებისათვის გაირჯებიან.

ზრდასრულთა განათლების ახალი ცენტრი კასპში

კასპის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ოფიციალური გახსნის ცერემონია 2022 წლის 10 დეკემბერს გაიმართა კასპის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის რეგიონი). ცენტრი დაარსდა გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) ფინანსური მხარდაჭერითა და კასპის მუნიციპალიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით.

DVV international საქართველოს ოფისი 2006 წლიდან არის ჩართული ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაფუძნებაში. ისინი დამყარებულია გერმანული სახალხო უნივერსიტეტების გამოცდილებასა და მეთოდოლოგიაზე, რომელიც ადაპტირებულია ქართულ რეალობასა და მოსახლეობის საჭიროებებზე. ამ დროისთვის ზრდასრულთა განათლების ცენტრები ახალციხეში, ახალქალაქში, კოდაში, შაუმიანში, სენაკში, ჯვარში, ლელიანში, ქედაში, ჩოხატაურში, ამბროლაურში, ხარაგაულსა და ხონში წარმატებით ფუნქციონირებს და მრავალფეროვან საგანმანათლებლო პროგრამებსა და აქტივობებს ახორციელებს, რაც ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს და ხელს უწყობს დასაქმების გაზრდასა და საზოგადოებაში სოციალური და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაუმჯობესებას. ზრდასრულთა განათლების ცენტრები თემებშია დაფუძნებული და მათ საჭიროებებზეა მორგებული. ზუსტად ამიტომ ისინი სწრაფად პასუხობენ პიროვნებებისა და საზოგადოების წინაშე მდგარ ცვლილებად საჭიროებებსა და ახალ მოთხოვნებს, რაც ასე მნიშვნელოვანია გლობალიზაციის, დიგიტალიზაციის, დემოგრაფიული ცვლილებებისა და მუდმივი ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში.

ზრდასრულთა განათლების ჰოლისტური მიდგომის საფუძველზე, ცენტრები მონაწილეებს სთავაზობენ ზრდასრულთა განათლების მრავალკომპონენტიან პაკეტს (ALP), რომელიც მოიცავს: პიროვნული განვითარების პროგრამას, პროფესიულ განათლებას, განათლებას კულტურის სფეროში, სამოქალაქო განათლებას, ფინანსურ წიგნიერებას, ახალგაზრდების, სპორტისა და ჯანმრთელობის პროგრამებს. 2006-2021 წლებში ცენტრებში ბენეფიციართა რაოდენობამ 200 000-ზე მეტს მიაღწია.

კასპის ზრდასრულთა განათლების ცენტრი საქართველოს სათაო ოფისის მიერ დაარსებული მე-14 ცენტრია.

გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ ქ-ნი სარა ზიელონკა, პირველი მდივანი, საქართველოში გერმანიის საელჩოს ეკონომიკური და პრესის დეპარტამენტის უფროსი, ქ-ნი თამარ ქიტიაშვილი, უნარების სააგენტოს ხელმძღვანელი, კასპის მუნიციპალიტეტის მერი, ბ-ნი ვახტანგ მაისურაძე, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი (GAEN), საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და კასპის თემის წევრები. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ კომპიუტერის, ჭრა-კერვის, კულინარიის, ჭიქაზე მხატვრობის, უცხო ენების კურსებისა და პრაქტიკული სამუშაოებისთვის განკუთვნილი სივრცეები.

ქ-მა ზიელონკამ ხაზი გაუსვა ზრდასრულთა განათლების როლს საქართველოში და მადლობა გადაიხადა გაწეული ძალისხმევისთვის.

რეგიონულმა დირექტორმა კავკასიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, დოქტორმა ტომას ლიხტენბერგმა, ხაზი გაუსვა კასპის ზრდასრულთა განათლების ცენტრის გახსნის მნიშვნელობას და წარმატებები უსურვა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა, ბ-მა ვახტანგ მაისურაძემ მადლობა გადაუხადა მათ კასპში ცენტრის გახსნისთვის და მზადყოფნა გამოთქვა სამომავლო საქმიანი თანამშრომლობისთვის.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის უფროსი სპეციალისტი.

ეთერ სულაშვილი — საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი ქალი.

სეზონის მატჩებში იცავდა ლანჩხუთის "ლანჩხუთის" ღირსებას (მანამდე გორის გუნდში თამაშობდა).

შედეგიანი იყო ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. სხვადასხვა დონის თამაშებში (საკლუბო, სათასო, სანაკრებო) გაიტანა 28 გოლი...

საქართველოს ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციაში დაჯილდოებისას სპეციალური პრიზი გადასცა მისმა პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

სპორტ INFO

ქართული ჭიდაობა — ამიერიდან მსოფლიო ორბიტაზე!

დასასრული.

ბა უშველის. ჰოდა, ამ მხრივაც მოველოდებით სასიკეთო გამონათებას: დღესა და დღესელებს ნამდვილად ეკუთვნით საჭიდაო დარბაზი. მათი წლობით ნალოლიავები ჩანაფიქრი წელს ასრულდება! საჭიდაო არენა აიგება სასირეთ-თელიანშიც (ეს ორი სოფელი ისეა გადაბმული, რომ იქაურებს საამისო ადგილის შერჩევა არ უნდა გაუჭირდეთ)!

აი, ლამისყანელებს კი ნამდვილად სატრაბახოდ აქვთ საქმე: შარშან, წლის ბოლოს, იქ მწყობრში ჩადგა მრგვალი საჭიდაო არენა (ოთხიოდე წლის წინ "სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" შექმნილი სასპორტო კომპლექსის ტერიტორიაზე). იქაურების გადაწყვეტილებით ახალ ობიექტს ლეგენდებში გადასახლებული გოგლა რამაზაშვილის სახელი მიეკუთვნა. ლამისყანაში ახალ საჭიდაოს სულ რამდენიმე თვეში საზეიმოდ გახსნიან ქსნისხეობელი გურამიშვილელები!

„მთელი ჩემი ქონება...“

(დასასრული). დასაწყისი იხ. გვ7.

იც საგანგებო მისიით მოეწვიათ ჩვენში.

... დიდება და ნათელი იმ ადამიანთა სახე(ლ)ებს, ვინც ლეხურისპირა ქალაქში კულტურულ-მუსიკალურ ცხოვრებას ასხივოსნებდნენ საკუთარ წილად დანთებული ლამპრებით. მათ ამით ისეთი მყარი ხიდბურჯები შეუდგეს ეროვნულ კულტურას, დღემდე რომ გაუძლიათ და შეურყევლად დგანან.

ა. კალანდაძე.

,,ხხლოი გვნთიავლი,, ეძებს ლვინდერიდლო ლურთიებს რხეიონის ლვგეზეთო ოოდომეფდანის შეხვეკმნელოვლ. თხოვნით მივმართავთ თანხრთეიონელოებს - დეფოვეთ თკვენი ყვლოი ჩვენს მეფდანენში! გვმოგვიგზავნეთ ლვინდერიდლო ოოდოები!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76